Ⴜ̃ა Ⴈოვანე Ⴍქროპირი

# ႬႠႧႪႨႱ-ႶႤႡႨႱႠႧႣႱ ႭႴႪႨႱႠ ႹႭႤႬႨႱႠ ႨႤႱႭ ႵႰႨႱႲჁႱႠ (ႫႤႱႠႫႤ) *

Ⴐა ვითარცალა ველნი შუენიერნი და სავსენი, ყუავილითა ოქრო-ფერითა შემკულნი, და ვითარცა ხენი, შუენიერად შემოსილნი ფურცლითა, და სადგურნი მფრინველთა სულნელმჴმობარეთანი, რომელთა-იგი სმენითა ყურნი კაცთანი განაცხრვნიან და თუალნი, ოდეს-იგი გამოეფინის მზჱ ადგილთა მათ; და ვითარცა წყარონი გულის-სათქუემელნი, რომელნი დაუცხრომელად დიედ, ეგრეცა აქა Ⴄკლესიათა შინა სიტყუათა Ⴖმრთისათა წურთანი და Ⴖმრთისა მიერ სწავლანი განანათლებენ ნათესავსა კაცთასა.

Ⴋუნ მფრინველთა ფერად-ფერადთა სახიობით რეცა ჴმანი, ხოლო აქა წმიდათა Ⴔსალმუნთაგან რჩეულთა გალობანი; მუნ გურიტნი უდაბნოსა შინა მყოფნი, მღუმინველნი და ზაფხულისა მომატყუებელნი, ხოლო აქა მწუანვილსა მდელოთასა და თაფლსა ველურსა მჭამელი Ⴜინამორბედი სულიერითა მით ქადაგებითა აღსძრავს Ⴄკლესიათა Ⴖმრთისათა და ზეცისა იგი ზაფხული გუაუწყა – Ⴕრისტჱ, რომელი გამოჩნდა მაცხოვრად სოფლისა, რამეთუ იტყჳს: *მათ დღეთა შინა მოვიდა* ***Ⴈოვანე*** *ნათლის-მცემელი, ქადაგებდა უდაბნოსა და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი Ⴖმრთისაჲ* (მთ. 3,1-2). Ⴃღეთა მათ, რომელთა გამოჩნდა Ⴛჱ Ⴖმრთისაჲ და ზეცისა Ⴋეუფჱ, მისთჳს ესრე თქუა მახარებელმან, ვითარმედ: «მათ დღეთა შინა მოვიდა **Ⴈოვანე** Ⴌათლისმცემელი, ქადაგებდა და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი Ⴖმრთისაჲ».

Ⴥ სინანულითა ვითარ მოგუატყუებს სასუფეველსა Ⴖმრთისასა! ეჵა, სინანული და ცრემლი, რომელ-იგი მადლი და მოტევებაჲ აქუს ცოდვათაჲ, და სამოსლისა სასიძობელისა შემმოსელი! ეჵა, სინანული და ცრემლი მწთოლვარჱ, რომელმან-იგი სალმობანი ცოდვათანი განკურნნის და საუკუნოჲ იგი გეჰენიაჲ ცეცხლისაჲ დაშრიტის! ეჵა, სინანულო, ეშმაკისა მარცხუენელო და მონანულთა ჴელისამპყრობელო!

Ⴥ ვითარ გუთხრობს, ვითარმედ: *გამოვიდოდა* ***Ⴈერუსალემი*** *და ყოველი* ***Ⴠურიასტანი*** *და ყოველნი გარემოჲს მყოფნი* ***Ⴈორდანისანი*** *და ნათელს-იღებდეს* ***ႨოვანჱსႢან*** *და აუვარებდეს ცოდვათა მათთა* (მთ.3,5-6). Ⴃა სიმრავლესა მას ერისასა თავადიცა Ⴈესუ შეერთო.

Ⴞოლო **Ⴈოვანე** ვერ იცნა იგი, ვითარცა თჳთ იგივე იტყჳს, ვითარმედ: *მე არა ვიცოდე Ⴈგი, არამედ, Ⴐომელმან მომავლინა მე წყლითა ნათლის-ცემად, Ⴋან მრქუა მე* (ინ.1,33), და ჭეშმარიტად მადლმან სულისა Ⴜმიდისამან გულისხმა-უყო მას Ⴋაცხოვრისაჲცა მათ შორის ყოფაჲ.

Ⴃა ვითარცა მოვიდა Ⴈესუ **Ⴈოვანჱსა**, რაჲთამცა ნათელ-იღო მისგან, მიხედა **Ⴈოვანე** და წინამძღურებითა სულისა Ⴜმიდისაჲთა იცნა Ⴈგი. Ⴆეუკუნ-იპყრა **Ⴈოვანე** ჴელი და თავი მოუდრიკა; დაუტევა მან ნათლის-ცემაჲ და შეერთო იგი ნათლის-მღებელთა.

Ⴃა იყო სიტყუაჲ მათ შორის განგრძობილი. **Ⴈოვანე** ჴელსა მას იფარვიდა, ხოლო Ⴈესუ ასწრაფებდა მას ნათლის-ცემასა, ხოლო იგი ძწოდა და ვერ იკადრებდა შეახლებად Ⴋისა; და სიმრავლჱ იგი ერისაჲ დაყოვნდებოდა: უნდა მათ, რაჲთამცა გულისხმა-ყვეს, ვითარმედ: რაჲ-მე არს დაცადებაჲ ესე? და რომელნი შორს იყვნეს, მორბიოდეს, რაჲთამცა ცნეს, ვითარმედ: რაჲმე-რაჲ არს? და ვითარცა მიიწინეს, ხედვიდეს და ესმოდა, ვითარ-იგი **Ⴈოვანე** ევედრებოდა Ⴓფალსა Ⴈესუს, ვითარმედ: *მე Ⴘენგან მიჴმს ნათლის-ღებაჲ და Ⴘენ ჩემდა მოხუალა?* (მთ.3,14). Ⴔრიად განჰკრთეს და დაუკჳრდა ყოველთა. Ⴃა ეტყოდა **Ⴈოვანე**: «ნუ მაიძულებ, Ⴓფალო, რამეთუ მე Ⴘენგან მიჴმს ნათლის-ღებაჲ და მარჯუენჱ ჩემი სხუათაცა ნათლის-ცემად არს. Ⴜინაჲთგან Ⴘენ გიხილე, არასადა

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რად. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 79-82.

ვიცი ბანაჲ მზისა მბრწყინვალისაჲ, არცაღა განბანის თიჴამან წყაროჲ». Ⴃა რომელნი-იგი მუნ დგეს და იგინიცა, რომელნი შორით მორბიოდეს ხილვად **Ⴈოვანჱსა**, დაცადებასა მას ნათლის-ცემისასა ჰხედვიდეს და ესმოდა **Ⴈოვანჱსი**, ვითარ-იგი სიმდაბლით ესევითარსა ევედრებოდა Ⴈესუს და ეტყოდა.

Ⴄკითხვიდა ერთი-ერთსა და ეტყოდა, ვითარმედ: ვინ-მე არს Ⴈსე, რომელსა ნათლის-მცემელი ვითარცა ცოდვილი შეურდების და ეტყჳს, ვითარმედ: «მე Ⴘენგან მიჴმს ნათლის-ღებაჲ»? ანუ რაჲსათჳს ესრჱთ დაიმდაბლა თავი, რომლისაგან ჩუენ ნათელ-ვიღებთ, და განწმიდნების, ვითარღამცა შჯულის-მდებელი ვინმე იყო, ეგრე დაემორჩილების?

Ⴃა ვინ-მე არს Ⴈსე, რომელმან ესოდენი ერი შეაძრწუნა და, ოდეს-იგი სადუკეველთა და Ⴔარისეველთა მთავართა ნათელ-სცემდა, ესოდენ არა შეეშინა? ეგრჱთ ვის-მე განკჳრვებით ხედავს, ვითარღამცა უფროჲს მისა იყო და ყოველსა შჯულსა უფროჲს ყოველთა კაცთასა იგი აღმასრულებელ იყო?

Ⴃა ვინ-მემცა უფროჲს **Ⴈოვანჱსა** იყო, რომელი უდაბნოსა გარე იყოფოდა და მწუერვალსა მდელოჲსასა ჭამდა? და არცა მიხედვაჲ ამისი და სამოსელი **Ⴈოვანჱსსა** ესწორების, რამეთუ უჩჩო არს, რამეთუ ამისი ხატი – ფეროვან და შუენიერ, ხოლო **Ⴈოვანჱსი** ფერი – ყუთელ და ჰმოსიეს მას ძაძაჲ. Ⴀნუ ვინაჲ-მე არს Ⴀმისი მოსლვაჲ?

Ⴃა ვითარ-იგი ერთმანერთისაგან ეძიებდეს მისთჳს და იკითხვიდეს, გულისხმა-ყვეს **Ⴈოვანჱსგან**, ვინ იყო Ⴈგი, რამეთუ სიმდაბლით იგი გამოჩნდა და არა ამპარტავანებით და ყოველსავე შჯულსა სიმდაბლით აღასრულებდა: წინადაცუეთისაჲცა იგი შჯული აღასრულა, და შესაწირავიცა იგი და ძღუენი შეწირა, და ტაძრისაჲცა იგი შესლვაჲ არა შეურაცხ-ყო, და **Ⴋოსჱს** მიერ წიგნთაცა მოსწრაფე იყო, და **Ⴈოვანჱსგანცა** ნათლის-ღებასა ყოველთა ეზიარა. Ⴀრა თუ წყალმან რაჲ განწმიდა Ⴈგი, – რამეთუ Ⴈგი იყო განმწმედელი წყალთაჲ, – ამას ყოველსა ჩუენისა ცხოვრებისათჳს აღასრულებდა და ესრჱთ ასწავებდა ნათლის-მცემელსა მას Ⴓფალი და ეტყოდა: *აცადე აწ, რამეთუ ესრე წეს-არს აღსრულებად ყოველი სიმართლჱ* (მთ.3,15), რამეთუ საწუთროსა მომცემ Ⴘე დიდებასა და არღა არს ჟამი გამოჩინებად დიდებისა მის Ⴙემისაჲ; და ნუ



გამოუჩინებ საიდუმლოსა Ⴖმრთეებისა Ⴙემისასა ეშმაკსა, რომელი არღა მნებავს: ნუუკუე მიცნას Ⴘე ეშმაკმან და ვერღარა მკადროს Ⴘე განცდად ვითარცა **Ⴀდამსა**, ამისთჳს რამეთუ დაეცეს იგი Ⴖმრთეებისა Ⴙემისაგან და სიბრძნისა, და აწ ნუ აოტებ ნადირსა მას. Ⴋოვიდენ ჟამნი, რომელსა ვიდიდო Ⴘე და სიტყუანი Ⴙემნი. Ⴂარნა *აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ* (მთ.3,15), რამეთუ მსხოვრად ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი მათი Ⴘე გარდავიჴადო; ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად. Ⴀწ ჯერ-არს ჩემდა, რაჲთა კაცთა თანა ვიქცეოდი, და ნუღა მადიდებ Ⴘე, არამედ ვითარცა კაცსა. *Ⴀცადე აწ, რამეთუ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ* (მთ.3,15).

Ⴐამეთუ **Ⴈოვანე** აღიპყრა მარჯუენჱ თჳსი ძწოლით და დასდვა შიშით თავსა ზედა Ⴓფლისასა და ზეცანი განეხუნეს და Ⴀნგელოზნი ზეგარდამო განკკრვებით ხედვიდეს, რომელ-იგი იქმნებოდა, და სული Ⴜმიდაჲ სახედ ტრედისა გარდამოჴდა და დაადგრა თავსა ზედა Ⴓფლისასა.

Ⴞოლო ერი იგი განკკრვებით დგა და იტყოდეს: რაჲ-მე არს საკჳრველებაჲ ესე, ანუ ვინ-მე არს Ⴈსე, Ⴐომლისათჳს ესოდენი საკჳრველებაჲ იქმნების?

Ⴃა ვითარ იგინი ამას განკკრვებასა და ზრახვასა შინა იყვნეს, მუნთქუესვე ზეცით ჴმაჲ ესმა Ⴋამისაგან, ვითარმედ: *ესე არს Ⴛჱ Ⴙემი საყუარელი, Ⴋაგისი ისმინეთ* (ლუკ.9,35).

Ⴀწ, საყუარელნო, ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვცნათ და გულისხმა-ვყოთ სახიერებაჲ იგი კაცთმოყუარისა Ⴖმრთისაჲ, *რამეთუ ესრჱთ შეიყუარა Ⴖმერთმან სოფელი ესე, ვიდრემდე Ⴛჱცა Ⴇჳსი Ⴋხოლოდ-შობილი მოსცა* (ინ. 3,16) მონათათჳს უკეთურთა, მოძულებულთათჳს საყუარელი Ⴈგი, ცოდვილთათჳს უცოდველი Ⴈგი.

Ⴀწ ჴორცთა იგი სიმდაბლჱ ჩუენთჳს და არა Ⴖმრთეებისა ბუნებისათჳს, რამეთუ Ⴖმრთეებაჲ არასადა დამცირდების და ჴორცნი იგი, რომელ განუშორებელად არიან Ⴖმრთეებასა მას თანა, ჴორცთა მათ მისთა გარდამატებული დიდებაჲ აქუს.

**Ⴈოვანჱსსა** მას ნათლის-ცემასა ყოველთა მათ ეზიარებოდა, არამედ მისგან და ყოველთა მიერ თაყუანის-იცემებოდა; და მერმე იყიდებოდა **Ⴈუდაჲსგან Ⴈეზრაელისა**, და განმსყიდელსა

მას განსყიდაჲ იგი შიშთვილ ექმნა; გჳრგჳნი დაედგმოდა Ⴋას ეკლისაჲ, არამედ Ⴋას ყოვლისა მეუფებისა გჳრგჳნი მიეცემოდა; Ⴟუარს-ეცუმოდა, არამედ Ⴋან Ⴟუარ-ცუმულმან მზჱ ბნელად გარდააქცია; ავაზაკნი დამოკიდებულ იყვნეს Ⴋის თანა, არამედ მუნთქუესვე ავაზაკი სამოთხედ შეიყვანა; საფლავსა დაიდებოდა, არამედ Ⴋან მკუდარნი საფლავისაგან აღადგინნა; დაღათუ იცვებოდა ვითარცა მკუდარი, არამედ მცველნი იგი შეაძრწუნნა; სამსა მას დღესა ჯოჯოხეთისაგან ღათუ იპყრობებოდა, არამედ Ⴋან სამითა მით დღითა ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და უკუნისამდე იძლია. Ⴃა თუ ვის-მე ეგონოს, ვითარმედ არა ჩუენთჳს Ⴋან



ესეოდენი ესე თავს-იდვა? რამეთუ Ⴈგი თჳთ დიდებულ არს და დიდებისა Ⴋისისაჲ ვინ შეუძლოს გამოთქუმად!

Ⴀწ მოვედით, საყუარელნო, და ჩუენცა ყოველთა დიდებაჲ Ⴋისა შევწიროთ, ვითარცა **Ⴎავლე** მოციქულმან გუასწავა, და ვთქუათ: *მადლი Ⴖმერთსა, გამოუთქუმელთა მათ ნიჭთა Ⴋისთა!* (2კორ. 9,15) და რომელ იგი ჴმაჲ გუესმა, «ესე არს Ⴛჱ Ⴙემი საყუარელი» Ⴋამისაგან სულით Ⴜმიდითურთ, თაყუანის-ვსცემდეთ და ვადიდებდეთ Ⴋამასა და Ⴛესა და Ⴜმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

